საქართველოს გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ი/მ ელგუჯა კუპატაძის

სკრინინგის განცხადება

ქ. ქუთაისში, სულხან-საბას გამზირი ქ. N12-ში ი/მ ელგუჯა კუპატაძეს (ს/კ 60001099580) მოწყობილი მაქვს 2017 წლიდან პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო.

საწარმოს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეორადი პლასტმასის გადამუშავება. საწარმოში ხდება სხვადასხვა სახის პლასტმასის (პოლიეთილენის) ნარჩენების გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (ჩიფსების) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3).

საწარმოს დროებით შეჩერებული ჰქონდა ფუნქციონირება და ამჟამად მსურს საქმიანობის გაგრძელება, რისთვისაც ჩემთვის ცნობილი გახდა რომ აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად ნარჩენების აღდგენა გარდა „არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა" მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის"-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად ექვემდებარება და საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას, ამდენად წარმოგიდგენთ ჩემს - ი/მ ელგუჯა კუპატაძის პლასტმასის გადამამუშავებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი: სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,
ი/მ ელგუჯა კუპატაძე

ს/კ 60001099580

[ე. კუპატაძე]
29.03.2021წელ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 5630
30 03 2021
1/CD